შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია"
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 47. ბ. 10.
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 356 922
სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის № GE62BG0000000262539700
ტელ: 399-112
ფაქსი: 399-113

# ხელშეკრულება № 22

## (მომსახურების შესყიდვა)

ქ.თბილისი 18.04.2016 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლმუზეუმი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, აუდიტური ფირმა შ.პ.ს. "ბაკაშვილი და კომპანია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ნ.ბაკაშვილის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი"თანახმაა გაუწიოს "შემსყიდველს" ხელშეკრულების დადებიდან ათ დღეში აუდიტორული მომსახურება.

აუდიტორულ მომსახურებაში შედის:

1.1.1. "შემსყიდველი" ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობის სრული აუდიტორული შემოწმება ანუ 2015 წლის ფინანსური ანგარიშების შემოწმება. CPV 79212000

1.1.2. კონსულტაციები ფინანსურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

1.1.3. მხარეები თანხმდებიან,რომ 1.1.1. და 1.1.2. პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადები,ანაზღაურების ოდენობა,საგანი, მოცულობა,გადახდის წესი განსაზღვრული არის ამ ხელშეკრულებით,ხოლო 1.1.3. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება საჭიროების მიხედვით დამატებით გაფორმებული მომდევნო ხელშეკრულე-ბებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პირობები, შესრულების ვადები, ანაზღაურების ოდენობა, საგანი, მოცულობა, გადახდის წესი.

### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

"მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

2.1. დაიცვას აუდიტორული საქმიანობის ეთიკა და მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

2.2. საიდუმლოდ შეინახოს აუდიტის დროს მიღებული ინფორმაცია.არ გაახმაუროს კომერციული საიდუმლოს შემცველი ცნობები.გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და არ გამოიყენოს იგი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის.

2.3. წარუდგინოს "შემსყიდველს" სრული აუდიტური დასკვნა, რომელიც დროში და დასკვნის შესაბამისობაშია.

"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

2.4. მისცეს "მიმწოდებელს" აუდიტორული მომსახურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება და წერილობითი ან სიტყვიერი განმარტება.

2.5.მოახდინოს "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

3. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

3.1.მხარეთა მიერ ხელშეკრულებით პირობების შესრულება ფორმდება საბოლოო ანგარიშის ან სხვა დოკუმენტის მიღება-ჩაბარებით (შემდგომში აქტი).

3.2."შემსყიდველი" ვალდებულია დასრულებული სამუშაო განიხილოს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

3.3."შემსყიდველი" ვალდებულია მომსახურების შესახებ არსებული პრეტენზია და შენიშვნები წერილობით წარუდგინოს "მიმწოდებელს" ანგარიშის ან სხვა დოკუმენტის მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

3.4. ამ ვადის გასვლის შემდეგ შესასრულებელი მომსახურება ითვლება შესრულებულად-უპირობოდ დგება მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.ზემოაღნიშნულ დროში "შემსყიდველის" მიერ წარმოდგენილი პრეტენზია უნდა ეყრდნობოდეს საფუძვლიან შენიშვნას, რის შემდეგადაც პრეტენზიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შედგება ორმხრივი აქტი.სადაც მოცემული იქნება აუცილებელი დამატებითი სამუშაოების ჩამონათვალი და მათი შესრულების ვადები.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.2. 1.1.1. და 1.1.2. პუნქტებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურებისათვის "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" უხდის 700 (შვიდასი) ლარს,რომელსაც აანაზღაურებს აუდიტორული მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში,ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებული მხარის მიერ მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით,რასაც განსაზღვრავს სასამართლო.

5.2. მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათი მიზეზით ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობას.

6. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

6.1. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ კი ეს იყო გამოწვეული დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის,წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს.

6.3. მხრე,რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო,ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ მეორე მხარეს.თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 3 დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე.თუ კი შეტყობინების გაუგზავნელობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებით.

6.4.დაუძლეველი ძალის 7 დღეზე მეტი ხნით არსებობისას მხარეს,რომელიც არ იმყოფება ასეთ გარემოებათა მოქმედების ქვეშ,უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობის მეორე მხარეს.

7.ინფორმაციის კონფიდენციალობა

7.1. მხარეები თანხმდებიან,რომ ხელშეკრულებაში შემავალი ნებისმიერი სახის ინფორმაცია კონფიდენციალურია და მხარეებს არა აქვთ უფლება ამგვარი ინფორმაცია გაანდონ მესამე პირებს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით "კონფიდენციალურია ინფორმაცია", რომელიც ცნობილი გახდა მხარეებისათვის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, შეეხება მხარეთა შორის ანგარიშსწორებას, ერთი ან და ორივე მხარის საქმიანობას,ასევე ის,რომელსაც მხარეები განიხილავენ კონფიდენციალურად,რომელიც მნიშვნელოვანი და საგნობრივია ერთ-ერთი მხარისათვის და საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

7.3. მხარეები თანხმდებიან,რომ წინამდებარე პუნქტის დებულებათა მოქმედება უვადოა.

## 8. დავის გადაწყვეტა

8.1. მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული დავის წამოჭრიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში,მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8.3.მხარეები თანხმდებიან,რომ ნებისმიერი პრეტენზია განხილული იქნება ადრესატი მხარის მიერ მისი მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

## 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

9.1.ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად ითვლება ხელშეკრულების პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი და მოქმედებს 28.05.2016 წლამდე.

9.2. ხელშეკრულების გაუქმება ან ვადის გაგრძელება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.3. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება იმ მომენტიდან ,როდესაც მხარეები წარმოადგენენ უკვე შეთანხმებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს და ურთიერთ ანგარიშსწორების აქტს.

## 10. ზოგადი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან და მოვალეობები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.2.ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.3. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

10.4.მხარეები თანხმდებიან,რომ ის ურთიერთობანი,რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელსეკრულებით რეგულირებული იქნება საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე სამივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

11.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის საგურამოს
სახელმწიფო მუზეუმი
მისამართი: მცხეთა სოფ.საგურამო
საიდენტ.კოდი 236067224
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი TRESGE22
დირექტორი: ანდრო [illegible]

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს."ბაკაშვილი დაკომპანი"
მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის
გამზირი 47 ბ10
საიდენტიფიკაციო კოდი: 211356922
მომსახურე ბანკი: REPLGE22
ა/ა GE18BR0000000003467166
დირექტორი ნ.ბაკაშვილი

ქ.თბილისი 20 აპრილი 2016 წ.

# მიღება-ჩაბარების აქტი

(გაწეული მომსახურების, სამუშაოების შესრულების)

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „დამკვეთი" ს.ს.ი.პ. „ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი"-ის (ს/კ 236067224) დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით და მეორეს მხრივ „შემსრულებელი", შპს აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია" მისი დირექტორის ნიკოლოზ ბაკაშვილის სახით, 2016 წლის 18 აპრილს გაფორმებული N 22 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ "შემსრულებელმა" შეასრულა მასზე დაკისრებული აუდიტორული მომსახურება.

ზემოთხსენებული ხელშეკრულების თანახმად სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 700 ლარს დღგ–ს ჩათვლით.

მიღება–ჩაბარების აქტს დანართად ერთვის შემსრულებლის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა N1/19-2016.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

"დამკვეთი" "შემსრულებელი"

სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი

მის: თბილისი, სოფ. ზურგოვანი
ტელ/ფაქსი:

ს/კ 202439566

დირექტორი: ____________

/ა.ბედუკაძე/

შპს აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია"
მის: თბილისი, ალ.ყაზბეგის N47 ბ 10
ტელ/ფაქსი

საიდენტიფიკაციო კოდი: 211356922
საბანკო რეკვიზიტები:

დირექტორი: ____________

/ნ.ბაკაშვილი/